# ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

24 – 30 აპრილი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

## კონტრტერორისტული სპეცოპერაცია ანკარაში

თურქეთის სპეცსამსახურებმა ანკარაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად უცხო ქვეყნის 9 მოქალაქე დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულები ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის წევრები არიან.

27.04.2023

## რასიმ აკიოლის დაკავება

თურქეთის ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაცია ავრცელებს ინფორმაციას, ჩატარებული ოპერაციის ფარგლებში ტერორისტული ორგანიზაცია ქურთების მუშათა პარტიის წევრი, რასიმ აკიოლის დაკავების შესახებ. 2018 წელს თურქეთის სასამართლომ აკიოლის 15-წლიანი პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა.

27.04.2023

## კონტრტერორისტული სპეცოპერაცია ქირქუქში

ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმაციას ავრცელებს ქირქუქში ფედერალური სადაზვერვო-საგამოძიებო სააგენტოს მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად 8 ტერორისტის დაკავების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული პირები ტერორისტული ორგანიზაცია „დაეშის“ წევრები არიან.

28.04.2023

## აიათოლა სულეიმანის მკვლელობა ბაბოლსარში

ბელის ბანკის ბაბოლსარის ფილიალზე განხორციელებული თავდასხმის დროს, დაიღუპა ირანელი შიიტი სასულიერო პირი და ექსპერტთა ასამბლეის წევრი, აიათოლა აბბასალი სოლეიმანი. ბაბოლსარის გუბერნატორის განმარტებით, თავდამსხმელი ბანკის უსაფრთხოების თანამშრომელია. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს საგამოძიებო სამუშაოები, მოტივის დადგენის მიზნით.

28.04.2023

## ტერორისტული თავდასხმა დასავლეთ სანაპიროზე

ისრაელის თავდაცვის ძალებმა დასავლეთ სანაპიროზე ტერორისტული თავდასხმა აღკვეთეს. პალესტინის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, 39 წლის აჰმედ ტალა, მანქანით ტერორისტული თავდასხმის განხორციელების მცდელობის შემდეგ, ისრაელის უსაფრთხოების ოფიცერზე ცივი იარაღით თავდასხმის დროს დაიღუპა.

28.04.2023

## კონტრტერორისტული სპეცოპერაცია მაროკოში

მაროკოს სპეციალური სამსახურების მიერ 10 ქალაქში ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის ფარგლებში, უსაფრთხოების სამსახურებმა ტერორისტულ ორგანიზაცია დაეშთან დაკავშირებული 13 ადამიანი დააკავეს.

29.04.2023

## ტერორისტული თავდასხმა სან-სანის მაგისტრალზე

ტერორისტული ორგანიზაცია „დაეშის“ დასავლეთ აფრიკის პროვინციის (ISWAP) მებრძოლების მიერ ბორნოს შტატში, სან-სანის მაგისტრალზე, ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქებას 3 უსაფრთხოების ოფიცრის სიცოცხლე ემსხვერპლა. ნიგერიის უსაფრთხოების სამსახური ადასტურებს ინფორმაციას აღნიშნული თავდასხმის შედეგად, ტერორისტების მიერ იარაღის მოპოვებასთან დაკავშირებით.

29.04.2023

## ტერორისტული თავდასხმა ბენუეს შტატში

აპას რეგიონზე ტერორისტული ორგანიზაცია ბოკო ჰარამის მიერ განხორციელებული თავდასხმის შედეგად 15 ადამიანი გარდაიცვალა. ბენუეს შტატის წარმომადგენლის, დევიდ ოლოფუს განმარტებით, 2023 წლის მარტსა და აპრილში, აღნიშნული ორგანიზაციის მებრძოლებმა ბენუეს შტატის სოფლებზე თავდასხმები გაახშირა.

29.04.2024

## ტერორისტული თავდასხმა ბელუჯისტანში

ბელუჯისტანის საპატრულო სამსახურის წარმომადგენელმა, ფაჰად ხოსამ, დაადასტურა ინფორმაცია, იალავანის სამედიცინო კოლეჯის მაგისტრალზე მომხდარი აფეთქების შედეგად პაკისტანის კონტრტერორისტული სამსახურის მაღალი რანგის წარმომადგენლის, შარბატ ხან უმრანის გარდაცვალების შესახებ.

30.04.2023